პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2025 წლის —— დეკემბერი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ.N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გიორგი გოგიბერიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. გიორგი გოგიბერიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში ვაჟა-ფშაველას ქ.N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გიორგი გოგიბერიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ბათუმელი რეჟისორი, ტელეწამყვანი, ფოტოგრაფი და „ბიაფის“ ხელმძღვანელი გიორგი (გოგა) გოგიბერიძე საავტორო კინოს ბათუმის ფესტივალის დამაარსებელი და დირექტორი გახლდათ.

გიორგი გოგიბერიძე 2006 წლიდან იყო „ხელოვანთა სახლი არგანი“-ს დირექტორი. სწორედ ამ ორგანიზაციას უკავშირდება ბათუმში არაერთი სახელოვნებო და კულტურული პროექტის განხორციელება, მათ შორის – "ბიაფის“, საერთაშორისო კინოფესტივალის, რომელიც წლებია ბათუმის ერთ-ერთი მთავარი კულტურული ღონისძიებაა.

წლების განმავლობაში იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაში გადაცემა "თეთრი კვადრატი“-ს ავტორი და წამყვანი, ხელმძღვანელობდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტს. გადაღებული აქვს მხატვრული და დოკუმენტური ფილმები: „სინაგოგა“, „სტარტი“, „რუსუდან ფეტვიაშვილი“, „ოცი საუკუნის შემდეგ", "მემენტო მორი“, „წითელი ცხენის ბანაობა“.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს გიორგი გოგიბერიძის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ნატალია ძიძიგური**